

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

---

---

28 ნოემბერი, 2012 წ.

ქ. ბათუმი

**ბრძანება №01-08/71**

**რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამაზე „სამედიცინო რადიოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2012 წლის 23 ოქტომბრის №02/66547 წერილის, „დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის „სამედიცინო რადიოლოგია“ დამტკიცების შესახებ რსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №77 დადგენილების, ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის „სამედიცინო რადიოლოგია“ ხელმძღვანელის, მედიცინის დოქტორ დავით ცეცხლადის 2012 წლის 27 ნოემბრის №4042 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის „სამედიცინო რადიოლოგია“ ვაკანტურ 20 ადგილზე გამოცხადდეს მისაღები კონკურსი;
2. საექიმო სპეციალობის მაძიებელთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ-ს კანცელარიაში 2012 წლის 3 დეკემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით 10სთ–დან 18სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა;
3. თუ სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობა აღემატება 20–ს, ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება.

თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

4. სპეციალობის მამიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემულ იქნას კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე;
5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;
6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

ალიოზა ბაკურიძე